ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 247 ნოემბერი 26, ხუთშაბათი 1887 ნოემბერი 26, ხუთშაბათი № 247

გაზეთი ღირს					
თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძ. განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

„ივერია“

გამოვა 1888 წელსაც იმავე პროგრამითა, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1888 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში ა) თვითონ რედაქციას (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9), ბ) ლ. ბ. ხიდეკელის გაზეთის სააგენტოს (გოლოვინ. პროსპექტი, გიმნაზიის პირდაპირ). გ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, სახლი დ. სარაჯიშვილისა, ეზოშივე.)

ქუთაისში: ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიას.

ხონში: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

ბათუმში: მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

თქვენო მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობავ! *)

ყოვლად უმოწყალესის ხელმწიფე იმპერატორის ნებითა თქვენ მოწვეულ იქმენით მართლ-მადიდებელის საქართველოს ერის ეგზარხოსად და თქვენის მობძანების პირველ დღესვე გაისმა სამახარობლო სიტყვა თქვენი: „მე მოვედი აქ და თან მომაქვს მშვიდობა და კურთხევაო“. არა ნაკლებ საგულის-ხმიეროა, არა ნაკლებ ღრმად ჩანერგილ იქმნა ჩვენს გულში მეორე სამახარობლო ნუგეში თქვენი: „მე მოვედი, რათა უსრული დავასრულო და ნაკლებული გავასწოროვო.“

აი ყოველივე ეს მაბედვინებს მე საქართველოს თავად-აზნაურობის სახელითა მოგეგებოთ თქვენ, ვითარცა მწყემს, თავისის სამწყსოს მაკურთხეველს და მართლ-მადიდებლობის ერთგულ საქართველოს ერისათვის მშვიდობის მომავლინებელს და ნუგეშინის მომცემს ნაკლებულის გასწორებად.

თქვენო მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობავ! ათას ხუთასი წელიწადია, რაც არსებობს საქართველოს ეკკლესია; ათას ხუთასი წელიწადია იგი ჰმოწმობს სიწმინდეს და ჭეშმარიტებას დიდის მართლ-მადიდებელის აღმოსავლეთის ეკკლესიისას. ამ ხუთმეტ საუკუნეთა სივრცეზედ საქართველოს ერი ერთს წუთსაც არ განდრეკილა წმინდის მართლ-მადიდებლის მოძღვრების დოღმატთა და ჭეშმარიტებათაგან. მან არ უმტყუნა რჯულს და სარწმუნოებას საშინელის კვეთების ქვეშ ჩინგისხანთა, თემურლანგთა და სხვათა ურდოთა უცხო რჯულთასა, ზედ მოსეულთა, რათა აღმოთფხვრან ქართველის გულისაგან წმიდა გრძნობა ქრისტეს სარწმუნოებისა. ესეთივეა საქართველოს ერი დღესაც.

მაგრამ ზოგიერთა კაცთა შორის, რომელნიც ნაკლებად გვიცნობენ ჩვენ, მაინც არსებობს აზრი, ვითომც სარწმუნოება ქართველისა დაბალ ხარისხზედ იმყოფება. ეს მხილება მართალი არ არის. გრძნობა ღვთის-მოყვარეობისა ღრმად ჩანერგილია ყოველის ქართველის გულში, განდიდებულია მის მრავალ საუკუნოვან ისტორიითა და შემოწმებულია მისის სისხლითა. შესაძლოა მხოლოდ ითქვას, რომ სარწმუნოებრივი გრძნობა რაოდენადმე დაუძლურდა, შესუსტდა აქაურ მკვიდრთა შორის. უმთავრესი მიზეზი ამისი იმაში მდგომარეობს, რომ არა გვყვანან კარგად მომზადებულნი მსახურნი ეკკლესიისანი, რომელთაც შესძლებიყოთ შეუსუსტებლად დაეცვათ მკვიდრთა შორის მამა-პაპათაგან ნაანდერძევი გრძნობა სარწმუნოებისა. ეს ნაკლულოვანება-ღა აიხსნება იმით, რომ კმა-საყოფელი არ არის პროგრამმა აქაურის სემინარიისა, რომელიც ამზადებს საქართველოს მღვდელ-მსახურთა: ამ პროგრამმაში მეტად მცირე ადგილი უპყრია ქართულს ენას, ასე რომ ბევრმა მღვდელმა, სემინარიაში კურს-შესრულებულმა, სრულად არა იცის-რა საქართველოს ეკკლესიის ისტორიისა და ეძნელება თვით კითხვა ლოცვებისა და სამღვთო-წერილისა, რომელთა სიტყვიერება დღესაც ადვილად გასაგებია საქართველოს ერისათვის. მე აღარ ვახსენებ იმას, რომ სრულად გაუქმებულია სიტყვა მქადაგებლობისა, რომელიც ასე ძლიერ ჰშველის სარწმუნოების გაძლიერებას და სასულიერო თანაზიარობას მწყემსსა და სამწყსოს შორის.

მე ნებას ვაძლევ ჩემს თავს შევაწუხო ყოველ ამით თქვენი მამამთავრული ყურადღება იმ უეჭველ ჭეშმარიტების მიხედვით, რომ ერს, რომელსაც ჰქონია მრავალ საუკუნოვანი და დიდებული წარსული, არ მოეთხოვება,—იგი წარსული დაივიწყოს. ანდერძი ჩვენთა მამა-პაპათა, ჩვენის ისტორიის ერთგულებაა ღმრთისა, ერთგულ-ქვეშევრდომობაა ხელმწიფე იმპერატორისა და გულ-მოდგინეობა მამულისათვის.

ჩვენ ეხლანდელნი შთამომავალნი ამ ერისა, მოვსულვართ რა აქ თქვენთან, ვითარცა ჩვენს ახალ მამა-მთავართან, რათა მოგილოცოთ მშვიდობით მობძანება და მივიღოთ თქვენგან თქვენი ლოცვა-კურთხევა, გთხოვთ დაგვიახლოვდეთ ჩვენ, გაგვიცნოთ, ინებოთ და ჩვენი საჭიროება იუწყოთ და გულ-მტკივნეულობით მოჰხედოთ ჩვენს სისუსტესა და ნაკლულოვანებასა. ჩვენ, ჩვენის მხრით, მორჩილ ვექმნებით თქვენს ბძანებასა, რადგანაც ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ ბძანებანი თქვენნი სულიერს მოთხოვნილებას საქართველოს ერისას წინ არ აღუდგებიან.

უფალი ღმერთი შეგვეწიოსცა თქვენცა და ჩვენც, განვახორციელოთ იგი სასიქადულო აზრი, რომელიც თქვენ წარმოსთქვით თქვენის მობძანების დღეს: დავადგინოთ სულიერი კავშირი და თანა-ზიარობა მწყემსსა და სამწყსოს შორის.

---

*) 22 ნოემბერს თავად-აზნაურნი ტფილისის გუბერნიისა გუბერნიის მარშლის წინამძღოლობით წარდგნენ ყოვლად უსამღვდელოეს ეგზარხოსის წინაშე ეგზარხოსის სასახლეში და გუბერნიის მარშალმა თ. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ ეს სიტყვა წარმოსთქვა.

ახალი ამბავი

⁂ მოუთმენლად ელის ტფილელი საზოგადოება ბანკის თეატრის დამთავრებას. მაინც ბევრი ხანი აღარ გაივლის, რომ თეატრში წარმოდგენები დაიწყება.

ბ-ნ ფორკატის მოუმზადებია პირველ რუსულ წარმოდგენისათვის პროლოგი, რომელიც პეტერბურგის ცენზურისაგან ხელ-მოწერილი და ნება დართული მოუვიდა ამ დღეებში. პროლოგში დიდი ადგილი უჭირავს თამარ-დედოფალს. არიან აგრეთვე შოთა რუსთაველი და სხვანი ისტორიულნი კაცნი. სხვათა შორის არიან მთავარ-მართებელნი ვარანცოვი, ბარიათინსკი, მწერალი გრიბოედოვი, პუშკინი, ლერმონტოვი. ეს ისტორიულნი კაცნი რიგ-რიგად წარუდგებიან მდიდრულად მორთულს ქალს, რომელსაც სახელადა ჰქვიან კოლხიდა. საინტერესო ის იქნება, რომ მშვენივრად მორთული და ბრწყინვალე თამარი გამოვა სცენაზე თავისის ლომითა.

ბ-ნ ფორკატის არტისტები უკვე სწავლობენ თავიანთ როლებსა. პროლოგი კარგა მოზდილია.

⁂ პურის, ქერის და საზოგადოდ ჭირნახულის ვაჭრობა ძალიან ცუდად არის დაყენებული ტფილისში დალალ-ალაფების წყალობითა. ყველა ტფილელმა კარგად იცის, რომ ჩვენი მოედნები სავსეა ალაფებით, რომელნიც აშკარად და დაურიდებლად აცლიან ლუკმას მხვნელ-მთესველ ხალხს ცალკე და მყიდველს ცალკე. ხრიკი იმათის მცარცველობისა ამ გვარია: როგორც „ხაშლამა“ არუთინამ იცის, რომელ სოფლიდგან როდის წამოვა და რამდენი ურემი კირი, აგრეთვე ამ ზემოხსენებულ ალაფებს არ გამოეპარებათ, რომელ სოფლიდამ რამდენი ურემი ჭირნახული დაიძვრის და როდის შემოვა ქალაქში. ისინი მაინც ყოველ დილა გაიკრიფებიან ბაზარ გარედ და ჩაესაფრებიან როგორც ნადირს მონადირე სოფლებიდგან შემოსასვლელ ქუჩის ყელებში. გამოჩნდება ჭირნახულის ურმები თუ არა, ისინი მაშინვე მივარდებიან და მძიმედ და დინჯად დაუწყებენ შორიდამ ბაასსა: „მე, შვილო, ამისთანა პატიოსანი კაცი ვარ, მუდამ სოფლელის კაცის შემწე და მფარველი. იცი, შვილო, ეს ქალაქია და რამდენი ფათერაკი და ბიაბრობა მოსდევს ხამ სოფლელსა?“ ასეთის გაფრთხილების შემდეგ, ჰნახავს ჭირნახულს და რაც შეიძლება დაუფოლებს: „მამა ცხონებულო, ქალაქში მოჰდიხარ, ამ სიშორეს, რიგიანი ჭირნახული წამოიღე-და, რომ შენც ფასში გაყიდო. აბა ეს რა არის?“ შემდეგ შეაძლევს მესამედ ფასს: „მაზანდა ძლიერ დაეცა. ჩვენც ერთი ორი კაპიკი უნდა მოვიგოთო“.

ამ გვარად ხან ხვეწნით, ხან ჩხუბით გამოართმევს ნახევარ ფასად, მისცემს ბეს და წამოაღებინებს მოედანში, დააწყობინებს ტომრებს და დააყენებს გლეხს თავზე; აურევს თავის მიწიან ჭირნახულით სავსე ტომრებს, დააყრის ზევიდამ ბალახს ან ფუჩეჩს და ეტყვის გლეხს: შენ აქ იყავი და ამა და-ამ ფასად დააფასე ფუთი და უჩემოდ ნუ გაჰყიდი. თუ ვინმე გკითხოს, უთხარი, ჩემია-თქო, გასპარას აქვს ჩაბარებულიო; მე სოფლელი კაცი ვარ, წონისა არა გამეგება-რა და ფასისაც იმან იცის-თქო“.

ამ გვარად მიდის მყიდველი, ხედავს—სოფლელი კაცი ადგია ტომრებს, გულ-დადებით ევაჭრება და ფუთზე ერთ-ორ შაურს კიდევ მეტს აძლევს, რადგანაც ჰგონია პირდაპირ მწარმოებლისაგან ვყიდულობო. წონაზე ალაფ-ალა გასპარა თავს ადგია, მწონავსაც თვალს უზამს: ააა, ჰა, კარაპეტ, „დუნ გიდისო“, და სასწორი ყოველთვის გასპარას სასარგებლოდ ათამაშდება. ჩაიბარებს ფულს შენი გასპარა და მერე გლეხს ნახევარშიაც რის ვაი-ვაგლახით უსწორდება.

თუ რომელიმე გამოცდილი გლეხი გაუმაგრდა, არ მიჰყიდა და თითონ შემოიტანა მოედანზე, მაშინ ისინი შემოესევიან გარშემო და, მუშტარს დაინახავენ თუ არა გლეხისკენ მიმავალს, თვითონაც მიდიან, დაუფოლავენ სავაჭროსა, მუშტრის თვალ-წინ აძლევენ მესამედ ფასსა: „ჰა, ბიჭო, ექვსი შაური—განა მეტი იცის მაგისთანა აშმორებულმა და მიწიანმა ჭირნახულმა!“ ბევრიც რომ თავში იცეს გლეხმა, მაინც მუშტარს არ მიაკარებენ ზედ და თავიანთ ჭირნახულისკენ გაჰგზავნიან, სადაც ან ნაქირავები სოფლელი უდგათ ტომრებზე, ან თავიანთგანს აცმევენ სოფლურად და აყენებენ: „აბა, ჭირნახული ის არის, აი, ის სოფლელი რომ ადგას. ბარემ ოთხი აბაზიც ვაძლიეთ, მაგრამ არა სჩადის ეგ ასეთ-ისეთი“.

ეს ამბავი გახლავთ მუდამ დღიური ვარამი ჩვენის მოედნებისა და ძალიანაცა სცემს თავში არა მარტო სოფლის მეურნეობას, არამედ მხმარებელთა ჯიბესაცა. დიდი უნარი უნდა ქალაქის თვით-მმართველობასა, რომ ეს თვალ-და-თვალი ავაზაკობა შელაგმოს მაინც არის, თუ სრულებით ვერ მოსპობს.

⁂ ამას წინად კრწანისის ქუჩაზედ მოდიოდნენ თათრები და ქართველები, 11 ცხენის საპალნე კვერცხი მოჰქონდათ და ორი საპალნე ბატები. დაუხვდნენ ჩარჩები, დაუწყეს ვაჭრობა, შემდეგ გადავიდნენ ლანძღვაზე და ხუთი მანათი ძალის-ძალად ჩუდვეს ხელში ბედ. როდესაც თავ-მობეზრებული სოფლელები დათანხმდნენ, მაშინ ჩარჩები ერთს მანათს დაჰპირდნენ საჩუქრად, ოღონდ მიჰყოლიყვნენ მეიდნამდის და იქ ეთქვათ, რომ ეს ბატები და კვერცხები ჯერ გაყიდულები არ არის და იმ ფასად გაეყიდნათ, რომელსაც ჩარჩები დაუნიშნავდნენ. ერთი მანათი კარგი ფულია გლეხკაცისათვის და, რასაკვირველია, დათანხმდნენ.

⁂ ავლაბარში, ხოჯივანქის პირდაპირ, ვიწრო ქუჩის შესაბრუნებელში, ავჭალის წყლის კრანი დგას. ეს უიმისოდაც მუდამ ტალახიანი ქუჩა ამ კრანის გამო ერთ რაღაც გაუვლელ ტალახის მორევად გადაქცეულა. მცხოვრებნი ძალიან შეწუხებულნი არიან. შველა-კი ძალიან ადვილია: უნდა თოხით გაუკეთონ გზა ამ წყალს დიდ ქუჩისაკენ სამიოდე ადლის სიგძეზე და მერე წყალი თითონ წავა ტროტუარის პირ-პირ და არც ასეთს მორევს დააყენებს სადმე.

⁂ საზოგადოდ ცხენ-მავალას მოსამსახურეთა უწესო ქცევაზე მუდამ დღე ჩივიან გაზეთები, მაგრამ ასეთი ურიგობა, როგორიც არის ყოველ ლიანდაგზე და ნამეტნავად ორთაჭალისაზე, სწორედ საარაკო რამ არის. ხარფუხელები შემოგეჩივიან: კონდუქტორების და «კუჩრების» უჯიშო ქცევა წრეს გადავიდაო. აბანოებთან ჩაისხამენ მეარღნებსა და ერთი ჟრიამულითა და ვაი-ვაგლახით ჩადიან ორთაჭალაში; იქ შევლენ დუქანში, გადაჰკრავენ, ჩასხდებიან და უკან დაბრუნდებიან. გზაში ვინც უნდა დაუხვდეს და ეძახოს—დააყენეო, არ შეაყენებენ ვაგონსა. მანდილოსნები ვერ უყურებენ ამათს უზრდელობას, თავ-

4 ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ახლიან ნაყიდს ბილეთებს და შუა გზაში ჩამოდიან. რვა საათი რომ შესრულდება, ყველა ვაგონის მოსამსახურეები ცდილობენ სხვაზე ადრე მივიდნენ „პარკში“ და ამისათვის აღარ უცდიან ამხანაგებს დანიშნულს ალაგას. ამას წინადაც, საღამოს რვა საათზე, ორთაჭალიდამ მომავალს ცხენმავალას უნდა დაეცადნა ადგილობრივის „კამანდის“ წინ, მაგრამ არ დაიცადა და წავიდა, რა არის—ერთი ათის წამით მაინც სხვაზე ადრე გამისტუმრებენ „პარკშიო“. რიყიდამ მომავალმაც ესევე იფიქრა და, თუმცა ჰხედავდა, რომ ვაგონი მიდიოდა, მაგრამ არ დადგა საზამთროს მეიდნის ასაქცევზე და შეხვდნენ ერთმანერთს. შიგ მსხდომთ რომ ყვირილი არ დაეწყოთ, ვაგონები შეეჯახებოდნენ ერთმანერთს და იმსხვერპლებდნენ ვისმე. ამათში ვინ იქნებოდა მართალი, ვინ—მტყუანი, ის-კი არ ვიცი, და ის-კი ვიცი, რომ კონდუქტორ-კუჩრები ჩხუბობენ და ჩვენ-კი გვსჯიან. რიყის ვაგონი ძალა-უნებურად ისევ დააბრუნეს უკან ორთაჭალისკენ და გზა აუქციეს, მაგრამ ისე ჰლანძღავდნენ ერთმანერთს კონდუქტორები, რომ ყურში უნდა ბამბა დაეცოთ მგზავრებსა.

⁂ ხუთშაბათს, 26 ნოემბერს, საღამოს რვა საათის ნახევარზე, იქნება სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება. კრებაზედ დასწრება შეუძლიანთ არა-წევრთაცა. საგანნი კრებისა: 1) მიმდინარე საქმენი, 2) განხილვა ბ-ნ არახანიანცის მოხსენებათა— „სახსარნი პურის თემობით მიტანისა სასურსათო მაღაზიებში“ და 3) ცნობა ე. ნ. გეევსკისა შესახებ ხარკოვის გამოფენისა.

⁂ ბ-ნ ზ. ჭიჭინაძეს დაუბეჭდვინებია სოფრონ მგალობლიშვილის მოთხრობა „ღამის მეხრე ცეცო“, რომელიც წინად ჟურნალ „იმედში“ იბეჭდებოდა.

⁂ გაზ. „Тиф. Листокъ“-ი გვაცნობებს, რომ ტფილისის ვოგზალზე დაიჭირეს ვიღაც აბრამ ცეიტლინი, რომელსაც ბათუმში მოუპარავს ერთის ინგლისელისაგან ცხრა ასი თუმანი ფული. 22 ნოემბერს დილით ტფილისის ვოგზალზე წავიდა პოლიციის ბოქაული რამდენისამე პოლიციელითა, გაამწკრივა უკანასკნელნი ვოგზლის შენობის პირზე და ელოდა მატარებლის მოსვლასა. როცა მატარებელი მოუახლოვდა ვოგზალს, ამ დროს ვაგონიდამ გადმოხტა ერთი ვიღაც მგზავრი. პოლიციელმა შეასწრო თვალი, გამოუდგა და დაიჭირა. აღმოჩნდა, რომ ეს მგზავრი იყო აბრამ ცეიტლინი, რომელსაც ჯიბეში უპოვნეს რვა ას ოთხმოც-დასამი თუმანი და ექვსი მანათი.

⁂ გაზ. „Кут. Вѣд.“-ში ვკითხულობთ, რომ ქუთაისში მისულა მმართველი ტფილისის საბაღოსნო სკოლისა, ბ-ნი ოსტოპოვიჩი, და გაუსინჯავს ქუთაისის ესრედ წოდებული ფერმა, თუ რამდენად გამოსადეგია ეს ადგილი სამეურნეო სკოლის გასამართავად.

⁂ იმავ გაზეთის სიტყვით, ქუთაისში ბ-ნ. კ. მესხს გამოუცხადებია, რომ ხუთი წარმოდგენა უნდა გავმართოვო, ხოლო ბ ნ ვ. აბაშიძეს,—რომ ოთხი წარმოდგენა მწადიანო. ორნივ ცალკ-ცალკე შესდგომიან საქმეს, მაშინ-როდესაც ერთადაც გაუჭირდებათ დააკმაყოფილონ ესტეტიური მოთხოვნილება ქუთაისის საზოგადოებისაო, და ამიტომ გაზეთს არა აქვს იმედი, რომ ქუთათურები დაატკბოს ამათმა განცალკევებამა.

⁂ ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავ-მჯდომარე, ბ-ნი ყაითმაზოვი, ავადმყოფობის გამო დათხოვნილ იქმნა სამსახურიდამა. უმაღლესის ბრძანებათ, წევრი ტფილისის სამოსამართლო პალატისა, ბ-ნი მიხაილოვი, გარდაყვანილ იქმნა ამავ ადგილზე ხარკოვის სამოსამართლო პალატაში. იმის ადგილი მიეცა არხანგელსკის პროკურორს, ბ-ნ კრაუსს. მდივანი ტფილისის სამოსამართლო პალატისა, ბ ნი აქიმოვი, გადაყვანეს წევრად ქუთაისის ოლქის სასამართლოში.

მმართებლობის განკარგულებანი

17 ნოემბერს ხელ-მოწერილის უმაღლესის ბრძანებით კავკასიის (ადგილობრივ) დრუჟინებში გარდაყვანილ იქმნენ სხვათა შორის შემდეგი ქართველნი: მილიციის ესაულები: დიდებულიძე ილია და ყარანგოზიშვილი დიმიტრი კაპიტანის ჩინითა. ასის-თავნი მილიციისა: ანდრონიკაშვილი იოსებ და თავადი ფავლენიშვილი ვასილ პორუჩიკების ჩინითა და ხორუნჟები იაშვილი გრიგოლ და უზნაძე ანდრია პოდპორუჩიკის ჩინითა. გურიის წინანდელ ქვეითის დრუჟინიდამ: დუმბაძე ივანე, დუმბაძე ნიკოლოოზ, შტაბს-კაპიტანი თ. ერისთავი თომა, პორუჩიკები მილიციისა: ანთაძე ესტატე, თ. მიქელაძე ლევან და პოდპორუჩიკი დუმბაძე მიხეილ, შტაბს-კაპიტანი მილიციისა თ. ლეონიძე ალექსანდრე და პორუჩიკი მილიციისა თ. წულუკიძე სვიმონ, პოდპოლკოვნიკი თ. ვახვახიშვილი ესტატე, ესაული მილიციისა ზანდუკელი ილარიონ კაპიტანის ჩინითა, ასისთავი თათოშვილი დავით შტაბს-კაპიტანის ჩინითა. კაპიტანი ბერიძე გრიგოლ, შტაბს-კაპიტანი მილიციისა: თ. აბაშიძე ივანე, ჯაყელი ქიშვარდი, თ. აბაშიძე იასონ და პოდპორუჩიკი მილიციისა თ. ჩიჩუა ლევან; პორუჩიკი გვანჭახაძე; შტაბს-კაპიტანი თათარაშვილი; როტმისტრი ქაჯაია ქაიხოსრო კაპიტანის ჩანითა, პორუჩიკები მილიციისა: ჩხეიძე ანდრია და მესხი იზმაილ; ესაული წინანდელის დრუჟინისა თ. სუმბათაშვილი ივანე კაპიტანის ჩინითა; შტაბს-კაპიტანი გურიის მილიციისა თ. მიქელაძე ფარსადან და პოდპორუჩიკი მილიციისავე თ. ერისთავი სებასტი.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

დაბა ზუგდიდი. დღეს, 15 ნოემბერს, გათავდა ჯარის-კაცთა კენჭის-ყრა. მეორე უბანში ამოარჩიეს 34 კაცი. დაფიცებისთანავე გაემგზავრნენ თავიანთ გზაზე. მწუხარებელნი ბევრნი იყვნენ. შემდგომ მათის წასვლისა ჯარის-კაცთა პატრონებს შორის შემდეგი გულ-საკლავი ლაპარაკი ისმოდა: ბედზე ყოფილა, შენი ჭირიმე, საქმე, თორემ საშუალება არას გზით არ გასავალაო.

თურმე ნუ იტყვით, ზოგიერთ დახელოვნებულ ვაჭბატონებს უნებებიათ რამე გამოეცინცლათ უმეცარ გლეხთათვის, ვითომ იმიტომ-რომ გიშველითო, რადგან იცოდნენ, ყველას კენჭი არ ერგებოდა და ვინც გადარჩებოდა ჯარში წაყვანას, იტყოდნენ, ვითომ მათის წყალობით გადარჩნენ.

როგორც სმა დაგდეს, ზოგიერთებს კიდეც შეუსრულებიათ თავიანთი წადილი და გამოუცინცლავთ გლეხებისათვის. ახლა გლეხებმა უკან დევნა დაუწყეს ამ ბატონებს, მოგვეცით ჩვენი ფულიო. გლეხები მალე დარწმუნდნენ, რომ ამ ვაჭბატონებს არავითარი მოხმარება არ შესძლებიათ თვინიერ კანონისა, რომელიც უთუოდ უნდა აღსრულებულიყო. სასურველია კვლავ არ ინებებდნენ ის ზოგიერთი ბატონები, თავადია თუ აზნაური და თუ სოფლის გაიძვერა მწერლები, და არ სძარცვავდნენ უმეცარ გლეხთ. დარწმუნებული ვარ, რომ ვინც გაიგო ყოველივე გარემოება ამ არჩევანისა, ისინი აწი არას მაართმევენ, მაგრამ რა ქნან იმათ, რომელთაც ჯერ არ იციან ამ არჩევანის რიგი და წესი? ურიგო არ იქნება, ვისგანაც ჯერ არს, მიაქციონ ყურადღება, რომ კვლავ არა ხდებოდეს უწესოება, და დაიფარონ უმეცრები იმ ზოგიერთის წურბელებისაგან.

ზუგდიდის ახალი მცხოვრები

სახელდახელო

ქართველი ბავშვები ღარიბად არიან საკითხავსა და სახელმძღვანელო წიგნებზე. ამას ეხლა ყველანი ჰგრძნობენ, და მიზეზიც ეს არის, რომ თითქმის დღე არ გავა, ახალი რამ საყმაწვილო წიგნი არ დაიბეჭდოს ქართულს ენაზე. წიგნებს ადგენენ ისინიც, ვისაც ესმის ბავშვის სული და გული, რომ შეუფარდოს იმის გაგებასა დაწერილი ამბავი,—ადგენენ ისინიც, ვისაც ხელი არა აქვს ბავშვის ვითარებასთან და ამიტომ წიგნს იმიტომ-კი არა ჰბეჭდავს, რომ თავის პატარა მკითხველს შემატოს რამე, არამედ იმიტომ, რომ მოითბოს ხელი ბავშვების გაჭირებაზე. მართალია, ჩვენს უსუსურს მწიგნობრობაში ხელის მოთბობა ძნელია, მაგრამ მე მოგახსენებთ მადაზე, საღერღელის აშლაზე.

სხვათა მოღვაწეთა შორის ამ ზაფხულს ისახელა თავი ბ-ნმა ახპატელიანცმაცა. ბ-ნმა ახპატელიანცმა შეადგინა სურათებიანი წიგნი. მე იმის დაფასებით არ შევაწუხებთ თავსა. მოგახსენებთ მხოლოდ ერთს საყმაწვილო ლექსს, ამოთარგმნილს რუსულიდამ უშინსკის „დედა ენიდამ“, სახელად „Сѣренькій Козликъ“-სა. იტყვიან, ბ-ნი ახპატელიანცი არა თუ მარტო პედაგოგი, პოეტიცა ყოფილაო. ამისი რა მოგახსენოთ, მაგრამ იმაზედ-კი დაგემოწმებით, რომ ბ-ნ ახპატელიანცს შეუგნია და ძალიან გადაჭარბებითაც შეუგნია ის აზრი, რომ მთარგმნელმა უნდა დიდი მეცადინეობა გამოიჩინოს და თარგმანი არ დააშოროს სათარგმნელსა. ბ ნი ახპატელიანცი დიდადა ცდილა ამ საქმეში და „Сѣренькій Козликъ“-ი ისე გადმოუთარგმნია, რომ თითქმის ერთს ნაბიჯზედაც არ დაშორებია დედანსა, არა, „არ დაშორებია“-კი არა, რუსული ლექსი ისე გადმოუთარგმნია ქართულადა, რომ ვერ იტყვის კაცი, აქვს ამ ლექსს ქართული ფერი თუ არაო, ე. ი., რომ უფრო გარკვეულადა ვსთქვათ ჩვენი აზრი, უნდა ვაღიაროთ, რომ ლექსში ქართული სიტყვებია მარტო ნახმარი, დანარჩენი აღარც ქართულია, აღარც რუსული, აღარც თათრული და აღარც სომხური. მერე რა არის დანარჩენი?—ჩვენ მოგახსენებთ აზრზე. ბ-ნ ახპატელიანცს ისე გაუქართულებია რუსული ლექსი, რომ შიგ ქართველი მკითხველი სრულებით ვერ იპოვნის

ფელეტონი

ბაზაზხანის სურათი

(სცენა)

პატარა დახურული ბაზაზხანა ვინ არ იცის; ამ საკვირველს ბაზარში თითქმის ყველა გლეხიც-კი ყოფილა, არამც თუ ქალაქელი. ჯვარის-მამის ეკკლესიის ქვემოდ ქუჩა ჩადის, ამ ქუჩის ზემო თავში ჯვარის-მამის ლავაშებს აცხობენ და კუბოებს აკეთებენ, ამათ ქვემოდ-კი სულ ბაზაზები არიან; ამ ბაზაზების დუქნებს გვერდზედ კიდევ პატარა შესახვევია, სადაც თელეთელებს რძე-მაწონი ჩამოაქვთ და მეკოშეები და მექალამნეები სხედან. დილის ათი-თერთმეტი საათია და თითქმის მთელი ბაზაზხანა გაჩაღებულია, მუშტრის დროა. ამ დროს ვაი იმას, ვინც ამ ქუჩაზედ გაივლის, უეჭველად რომელიმე ბაზაზის შეგირდი ჩამოეკიდება კალთებზე, ვაჟკაცი იყოს თუ მანდილოსანი სულ ერთია, და თავის ოსტატის დუქანში შეათრევს.

გაურქა (ზემო დუქანში). დედიჯან, რას ინაზები, იყიდე რაღა, ხეირი მოგვეცი. სამუთაქე ჩითი არ გინდა? აჰა, ესეც სამუთაქე ჩითი; რომელიც გულით მოგეწონოს, ის ამორჩიე. ჩვენის მეტსა ბაზაზხანაში მუთაქის ჩითი არავისა აქვს. აბა, პირჯვარი დაიწერე, დედიჯან; ჰა, თქვი, ზოლი ჩითი გინდა, თუ ფოთლიანი. გუშინ მივიღე სამი პარტია ერთად. აი ეს ნარინჯის გული კარგია, დედიჯან; ვა, შვილები არ დამეხოცება, ღმერთმა შვილები გაგიზარდოს, ტყუილს არ ვამბობდე... მიქარო, თუ შენში გროში მოვიგო, დედი! აბა, რამდენი გავზომო? ეს ერთი... ორი... სამი...

მიდდისა (ცოტა ქვემოდ). ძმობილო, ნუღარ დაჭოჭმანდები. გეტყობა ჭკვიანი ბიჭი ხარ, იმერელი უნდა იყო. დალოცვილო, გეუბნები, კარგი მიტკალ ია-მეთქი. საპერანგეებად არ გინდა, წაიღე რაღა, მანამ სიკეთის გუნებაზედა ვარ; მასკვან მოხვალ, ამ ფასად აღარ მოგცემ. ჯერ ერთი, ძმობილო, შეხედე, რა სხვილი მიტკალია და; მეორე—თახახიანია, ისეთს წამალშია გაელებული, რომ კბენარი არ მოგეკარება, მაშ. ამის პერანგი სულ ცოტა ორ წელიწადს გაგიძლებს, ტრიკოსავით არის; სიყმეს გეფიცები, არა ვტყუოდე. იყიდე, ძმობილო, თორემ იტყვიან ფუკიაო. (გამოდის იმერელი და მთელს ბაზაზხანაში გასამის ზარივით: იმერელო, უუუ! ღომი აქა გვაქვს, მოდი, ძმობილო, დოშსაც გაშოვნით?!)

პატარა ბიჭი (ტალამში ხელს წაავლებს კიდეცა დედაკაცს). აქ მოდი, დედიჯან, ქალბატონო, ყველაფერს მოგართმევთ: ჩითი, მიტკალი, დარაია, ბამბაზიონი, მადაფაკი, ყალამქარი, ქიშმირი, ყუთნი, ალფაკა, ტერნო, მოვი, ალიში... სულ ახალ-ახალი მოტანილი, ზაგრანიცური.

დედაკაცი. დაიცა, შვილო, კალთები ნუ ჩამომაგლიჯე, არა მინდარა.

მეორე პატარა ბიჭი (ამავე დედაკაცს გადაეღობება წინა.) დედი, აი ჩვენი დუქანი, შენ ხომ სულ ჩვენგანა ვაჭრობ. გუშინაც შენმა დამ, დედიჯან, საბნის პირები წაიღო ჩვენგან.

დედაკაცი. ვინ დამა, ქა! მე და არა მყავს, შვილო.

პატარა ბიჭი. რა ვიცი, შენი ნათესავი-კია და, იქნება მძახალი იყოს, მული, დედამთილი. რა გაქვს, დედი, საყიდელი, ჩვენ დუქანში ჩითის რძე იშოვება. ვა, თუ არა გინდა-რა, კურთხეულო, ინდაურისავით რას დახეტიალებ; წადი შინ დაჯექი, ლოლო-შექამანდი მოხარშე.

ზოდოსა (მეორე მხარეს). ვა, დალოცვილო, რას გარბიხარ, სხვის საქონელს ოქროები ასხია? მოდი ერთი მოვერიგდეთ ძმურად, კნიაზჯან! აბა, უყურე რა საქონელია, ნახე და ვა, ნახე ერთი-მეთქი. ამისთანას სხვაგან იშოვნი? ეს ზაგრანიცია, სხვაგან მოსკოვს მოგცემენ. ამისმა მზემ (გულზე ხელს დაირტყამს), ამისთანა ვერ იშოვნო. კაი კაცო, რომ მოგატყუო, არ მინდა მეორედ გამარჯობა მითხრა? შენს გამარჯობას, შენმა მზემ, მილიონად არ გავყიდი, კნიაზჯან. ჰა, შევახვიო? სამი მანათი ვერ გაგიბედნია რაღა, ისევ მე უნდა გიხათრო. რა ვქნა, გიხათრებ; ხომ იცი, ხათრისაგან კაცი დაღუპულია. თოთხმეტი აბაზი, ეხლა? ვერც ეხლა მოვედით მე და შენ დამში, კნიაზჯან? ვა, კრიჭა რას შეგიკრავს, შე მამა ცხონებულო, ხმა ამოიღე და! შენ შენი ფასი თქვი—ერთი შაური მაძლიე, მოძალე ვინა გყავს. კიდევ მე უნდა დაგყვე, რაღა. ცამეტ აბაზ უზალთუნი, ეხლა? ესეც იავად, შენი ხათრისთვის; სუფნიშან გამიწყრეს, სხვას მივცე ამ ფასად, მაგრამ შენ ჩვენი ხარ, კნიაზჯან, შინაური, შენზედ დაკარგული არ არის! შეუხვიე, ბიჭო!.. ვა, კიდევ არა რიგდები? აი, სიკეთე ეგ არის და. მაშ თორმეტ აბაზზე მეტს არ იძლევი, რაღა! მერე რომ მოხვიდე და მეხვეწო, ჩემი ბრალი არ იყოს. (ქუჩაზე) კნიაზ, მიდიხარ? აბში არ იშლი, რაღა! კნიაზ, ინანებ, წინანაურს გეფიცები, ინანებ! აქ მოიხედე, კნიაზჯან. დალოცვილო, შენი სიტყვა კაკალია, ნუ მაზარალებ და. მოდი ცამეტ აბაზად წაიღე, ფეშქაშია; ესეც შენი სიტყვა, შუაში აბაზი თამაშობს რაღა.

ბეგლარა (სულ ქვემოდ). ჰა, რა მინდაო, ბიჭო! სუდარა? აქ მობძანდი, დედი, აქ არის, მკვდრებისთვის სულ ჩემგანა ხარჯავენ. ასეთი სუდარა მოგცე, ხუთი წელიწადი წვიმა-ტალახმა და ჭიამ,—იმ ჭიამ, ჩვენც რომ დაგვიზაკუსკებს, დედიჯან,—ვერა დააკლოს-რა. რამდენი სუდარა გინდა, დედი? თქვი, ნუ მაბანდებ. ვა, დალოცვილო, ვაჭრობ კიდეცა; სუდარას ერთი ფასი აქვს, დედიჯან; ქვეყანა გადაბრუნდება, სუდარას ფასი არ გამოეცვლება. რამდენი მამკვდარა, აბა წადი ჰკითხე. ვინ მოკვდა, დედი? ვა, მართლა! კაცო, ორი კვირა არ იქნება, ბაზაზხანაში ჩამოიარა ექვსი თთვე ფეხზედ არ წამომდგარაო? რა ვიცი, მე კი ესე მახსოვს და, იქნება ვისმე მივამგზავსე. ძალიან კაი კაცი იყო, ღმერთმა სულით განანათლოს, დედი (ცრემლებს იწმენდავს). წაიღე, დედი, წაიღე, ის იმისთანა კაცი იყო, რომ არ მოგატყუებ. ჰო, აი კუბოებსაც ჩემს გვერდით აკეთებენ, დედი, ჯვარის-მამის პურიც ბევრია, ქელეხისათვის მოგინდება. ჰა, კარგი იყიდე, მკვდარი გაცივდა. დალოცვილო, ახლა წიწაკის მურაბა ნუ გახდები და. გინდა შენი მკვდრები იჯარით ავიღო, დედი, ვივაჭრო, ხეირი არ მინდა, მადლის გულისათვის; ცხონებულს მინდა სიკეთე ვუყო... საიქიოს გადამიხდის...

ორ-ანი.

იმ აზრსა, რომელიც რუსულად დამწერს გამოუხვევია თავის ლექსში. ამასაც დიდი, თავისებური ხელოვნება უნდა. აბა ხელოვნება არ არის, მაშ რა ღვთის წყრომაა, მაგალითად, ამ სიტყვებში, რომელნიც მოგვყავს ზეპირად, თუ ხსოვნა არა გვღალატობს:

ბებიასა ჰყვანდა თეთრი თხა
აი როგორ, აი როგორ,
თეთრი თხა.
ბებიას ეს თხა ძრიელ უყვარდა
აი როგორ, აი როგორ,
ძრიელ უყვარდა.

დანარჩენი ნაწილიც ლექსისა სწორედ ამ გვარად და ამავე ღირსებით არის გადმოთარგმნილი. ვინც არ იცის, რის თქმა უნდა ბ-ნ ახპატელიანცს, როდესაც ამბობს—„აი როგორ, აი როგორ, თეთრი თხა“, ანუ „აი როგორ, აი როგორ, ძრიელ უყვარდა“, იმას მოვაგონებთ რუსულადა: „вотъ какъ, вотъ какъ, сѣренкій козликъ“. ვისაც რუსული არ ესმის, ის ხომ თავის დღეში ვერ უპოვნის ქართულ ნათარგმნს ვერავითარს აზრსა.

ბ ნ ახპატელიანცის პედაგოგიური ღვაწლი შემთხვევით გაგვახსენდა, და ეს შემთხვევაც სწორედ მაჩვენებელია ჩვენის აი-კარგიანობისა. ჩვენა ენახეთ ერთი შესანიშნავი განცხადება სამს ენაზედ შედგენილი—რუსულ-სომხურ-ქართულად. განცხადება დაბეჭდილია ტფილისში. ქაღალდი ჩინებულია, ასოები ლამაზი, სურათიც მეტად შნოიანი. მაგრამ დღემდისაც ვერ გაგვიგია, რად არის ეს განცხადება სამს ენაზედა? მაგალითად, რა საჭიროა განცხადებაში ქართული ასოები, რომლებითაც არა თუ რაიმე აზრი, არამედ ქართული სიტყვებიც ვერ გამოუხატიათ! საუბედუროდ, მე სომხური არ ვიცი და ამიტომ ვერ ვიტყვი დაბეჯითებით, თუ რა ნაირად არის გამოყვანილი სომხურადა. თუმცა ასეთის ქართულის მნახველს ეჭვი-კი მაქვს, რომ ვერც სომხურ ენაზე იქნება რიგიანად გამოყვანილი. ერთის სიტყვით, რუსული რომ არა მცოდნოდა, შენი მტერი, მკითხველო, მე ამ განცხადებით ვერას შევიტყობდი. მაშასადამე, ჩემთვის და ჩემთან ყოველ ქართველისათვის სრულებით მომეტებული იყო ეს საკვირველი განცხადება ქართულადა. ბ-ნმა ახპატელიანცმა ის მაინც მოახერხა, რომ რუსული სიტყვები ქართულად გადმოთარგმნა, თუმცა თარგმნილის აზრი-კი ვერ შეგვატყობინა. ამ განცხადებაში სიტყვების გადათარგმნაც ვერ მოუხერხებიათ.

აი, მაგალითად, ამ საკვირველს განცხადებას როგორი საკვირველი სათაური აწერია: „გაიხსნა ზაკავკაზის რკინის გზის გარადსკოი სტანცია თბილისში“. ხელი მომკერით, თუ გაიგებთ, რა უნდა ეთქვა განცხადების დამწერს, თუნდა პირველ მუხლის შემდეგ სიტყვებით: „თამამშოვის ქარვასლის პირ და პირ სოლოლაკის ქუჩის პირში № 5. და ყოველ საქმეებს ასრულებს რაც რკინის გზის სტანციებს შეეხება“. არც გრამატიკული და არც ლოღიკური აზრი არა სჩანს, რა არის „სოლოლაკის ქუჩის პირში“, რას ეკუთვნის კავშირი „და“, ვინ ასრულებს ყოველ საქმეებს «რაც რკინის გზის სტანციებს შეეხება»? და ესეც რომ არ იყოს, ნუ თუ მოსახერხებელია სოლოლაკის „ქუჩის პირში“ აასრულოს იმ უცნაურმა რაღაცამ ყოველივე, რაც-კი, მაგალითად, ლანჩხუთის სტანციას ზაკავკაზის დაროგისას შეეხება? მაშ ამას იქით ისიც შესაძლებელი უნდა იყოს, რომ სხვა უცნაური რამ კიდე სოლოლაკის ქუჩის შუაგულში აასრულებს ყოველ საქმეებს, რაც ფოილოს სტანციას შეეხება. ძალიანია, თქვენმა მზემ!

დანარჩენი მუხლები ამ განცხადებისა ისეთია, რომ თვით ეშმაკიც-კი ფეხს მოიტეხს, როგორც რუსები იტყვიან. ყოველ „პოეზდებისათვის“ ბილეთებსა ჰყიდის გარადსკოი სტანცია ზაკავკაზის ჟელეზნი დაროგისაო, ზაკაზებსაც იღებს და კვიტანციებსაც აძლევს ზაკავკაზსკის დაროგაო, მაროგაო და ჩაროგაო; „სტრახოვკას და ცალების შეკერასაც იღებს საქონლის ღირებულების სრულათ პასუხის გებითა“ ეს გარადსკოი სტანცია ზაკავკაზის ჟელეზნი დაროგა-მაროგა-ჩაროგასაო.

ერთი რაღაც საკვირველი რამ დაწესებულება ყოფილა ეს გარადსკოი სტანცია. თურმე ნუ იტყვით, „გარადსკოი სტანცია ასრულებს ყოველ დამოჟნის საქმეებსა“, როგორც ამბობს მეხუთე მუხლი ამ განცხადებისა. ჩვენ იმასაც ძრიელა ვეჭვობთ, რომ ტფილისის დამოჟნას თავისი საქმეები ამ გარადსკოი სტანციისათვის ჩაებარებინოს, და ის ხომ სრულებით ჭორად მიგვაჩნია, რომ ყოველ დამოჟნას თავისი საქმეები იმისთვის მიენდოს.

ყველაზედ უფრო გასაგები მუხლი განცხადებისა არის მეექვსე მუხლი. ამიტომ სიმართლისათვის ვერ დავუმალავთ ამ მუხლის ღირსებას ჩვენს მკითხველებს და მოვუყვებით სიტყვა-სიტყვითა. აი რას ამბობს ეს განსაკუთრებული მუხლი:

„ყოველ ზაკავკაზის რკინის გზის სტანციები და აგრეთვე სხვა რკინის გზის და პარახოდის სტანციები რომელთაც აქეთ შეკრულება იღებენ ბაგაჟსა და საქონლებსა ჩასაბარებლად გარადსკოი სტანციის ხელით (ჰხედავთ, რა უცნაური რამ დაწესებულება ყოფილა ეს გარადსკოი სტანცია: ხელიც-კი ჰქონია! ვინ იცის, იქნება ფეხებიცა ჰქონდეს, პირიც, ფაშვიც და ბევრი კიდევ სხვა რამ. იქნება ფრთიანიც იყოს, ანუ კუდიანი რამ.) პირ და პირ სახლში ანუ მაღაზიებში თუ მიმღების სრული ადრესი იქნება გამოცხადებული კვიტანციებში.“

ნურას უკაცრავად მკითხველთან, რომ განსაკუთრებულად გადათარგმნილს მუხლში ვერსად შეჰხვდებოდა ვერც მძიმესა და ვერც წერტილს. თვით განცხადების მთარგმნელს ღარ-უყვია შესვენების ნიშნები და ჩემი რა ბრალია!

აი თურმე ასეთი გარადსკოი სტანცია გაუმართავთ სოლოლაკის ქუჩის პირში და „ქირას გოროდსკოი სტანცია იღებს რკინის გზის და პარახოდების ტარიფებით და მაზედ ზემო სააშენებლოის მინისტერსტვიდგან დამტკიცებულ პადვოზკის ქირასა“. არც აქეთ და არც იქით, სწორედ ტარიფებით პუტეი საამშენიის მინისტერსტვიდგანა. გაუმარჯოს ზაკავკაზის გარადსკოი სტანციასა!..

ამასთან ისიც ნუ დაგავიწყდებათ, რომ «ყოველ გარადსკოი სტანციის ასრულებულ საქმეებში პასუხის მგებელია რკინის გზის ობშესტვა», რომელიც რომა, ერთის სიტყვით, ჰო... რკინი გზის ობშესტვა ქვეჩაიტისა ჰშვრება, რალა, ვა!..

თეოდოს. ჰე

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

პეტერბურგში ბ-ნი ელისეევი, რომელსაც დოქტორ ელისეევსაც ეძახიან და აღმოსავლეთის ქვეყნების დიდ მცოდნედ მიაჩნიათ, კითხულობს ამ ჟამად საჯარო ლექციებს „ქალის მდგომარეობაზე აღმოსავლეთ ქვეყნებში“. პირველი ლექცია საიმისო სახალისო და საგულისხმიერო არ იყო, რადგან პირველს ლექციაში მეცნიერს მოგზაურს მოეთხრო მხოლოდ სულ პირვანდელი ისტორია ქალის ყოფა-ცხოვრებისა აღმოსავლეთში. მეორე ლექცია-კი ჩვენ დიდად საინტერესოდ მიგვაჩნია, რადგან ამ ლექციაში პატივცემული ლექტორი დიდის მცოდნარობით გვიამბობს და გვამცნევს ქალის დღევანდელს ყოფას სამოსლემინო ქვეყნებში და მაჰმადის ყურანის მცნება-მოძღვრებას ამ საყურადღებო საგნის თაობაზე.

მტკნარი ტყუილია და სიცრუეაო,—ამბობს პატივცემული სწავლული, რომ ვითომ არა-სანატრელი ყოფა ქალისა მოსლემინთა შორის მათის სარწმუნოების, ანუ მათის ყორანის ბრალი იყოსო. პირიქით, მაჰმადი თავის ყორანში დიდი და გულ-კეთილობით სავსე დამცველი და მფარველია ქალისა. მრავალ-ცოლობას და საზოგადოდ ამ გვარს მოუხერხებელს სახეს ქორწინებისას ყორანი უარ-ჰყოფს და ბოროტებად მიაჩნია. ხოლო თუ მაინცა და მაინც არ უშლის მრავალ-ცოლობას მართლ-მორწმუნე მოსლემინს, იმიტომ-რომ მამა-პაპით დარჩენილს წესს ველარ წასვლია და დაუთმია იმ გარემოებისათვის, რომ აღმოსავლეთის კაცი მეტად და მეტად ხორცის დატკბობის ბუნებისაა.

თვით ყორანი-კი, ლექტორის აზრით, ბევრგან პირდაპირ ურჩევს ხალხს ერთ-ცოლობას.

მხოლოდ იმას შეუძლიანო, ამბობს ყორანი, იყოს მართალი, სამართლიანი და მიიღოს ჯილდო ღვთისაგან, ვინც მისდევს ერთ-ცოლობას და ერთი ცოლი ჰყავსო.

აღკრძალვით-კი ყორანს პირდაპირ ვერ აუკრძალნია მრავალ-ცოლობა და მხოლოდ რჩევით ურჩევს ყველას, რომ

სიმართლით და გულ-კეთილობით უნდა მოექცეთ დედაკაცსა, შეწუხება არა მიაყენოთ-რა ქალის გულსაო.

ქალის დასაცველად და დასაფარავად ყორანს ბევრ გვარი კანონი და წესი დაუდგენია, რომ მამაკაცმა არ შეავიწროვოს დედაკაცი. ისე რომ ყორანის შეხედულობით დედაკაცის მდგომარეობა სამოსლემინოში ბევრად უფრო უზრუნველ-ყოფილია, ვიდრე მდგომარეობა ევროპიელის ქალისა.

მოსლემინობის კანონითაო, განაგრძობს ბ-ნი ელისეევი,—მზითევი ცოლმაკი არ უნდა მიუტანოს ქმარს, არამედ ქმარმა, რომელიც, რა-კი ცოლს ირთავს, ცხოვრების სალარი და ღონეც უნდა მისცესო. ამ მზითევის პატრონია ცოლი და მხოლოდ ქმრის თანხმობით-კი უნდა განაგოს თავისი საკუთრება. ცოლს შეუძლიან შეიძინოს თავის საკუთრად ქონება, ყოველ გვარი სამოქალაქო წესი შეასრულოს და ქმრის ვალებისათვისაც არავითარი პასუხი არ აგოს. ცოლს ნება აქვს მოითხოვოს, რომ ქმარი გაეყაროს, უკეთუ ქმარი ისე არ აცხოვრებს, როგორც შეეფერება იმის ღირსებას. ქმარი-კი ამ შემთხვევაში ვალდებულია დიდის პატივის-ცემით მოექცეს თავის ნაცოლარს, კეთილშობილურად გაისტუმროს და მისცეს არა თუ თავისი კუთვნილი მზითევი, არამედ სხვაფრივაც დაასაჩუქროს.

ერთის სიტყვით, ყორანით დაწესებულია, რომ ყოველ გვარი სამოქალაქო უფლება ჰქონდეს დედაკაცს მინიჭებული. დედაკაცს შეუძლიან მოწამედ დაესწროს სამართალში, მზრუნველად დაინიშნოს და მოსამართლედაც-კი იქმნას არჩეული სამოქალაქო საქმეთა გარჩევის დროს.

აქედამ ცხადადა სჩანს, რა ტყუილი და სიცრუეა ის საყოველთაოდ გავრცელებული აზრი, რომ ვითომ ისლამი ისეთი სარწმუნოებაა, რომელიც ხელ-ფეხს უკრავს კაცობრიობის ნახევარს ნაწილს, მთელს დედათა სქესს და არ აძლევს არავითარს ღონეს და ილაჯს წარმატებისათვის.

პირ-იქით, გამოდის, რომ მამაკაცის მტარვალობა და ბატონობა, რომელიც ძველთა დროთ უანდერძეს აღმოსავლეთის ქვეყნებს, ყორანს ბევრად შეუმცირებია. განაჩენი რენანისა, რომ ისლამს თავის გულშივე დაატქს თესლი გახრწნილებისა, დაშლისა და დარღვევისაო, ცხადია, არ არის შესაწყნარებელი.

ყოველივე ეს ასეა, მაგრამ მაინც სხვა-და-სხვა მიზეზების გამო მაჰმადი ქალს ისე უცქერის, როგორც დაბალს და არა-სრულს არსებას.

მაჰმადის აზრით, ქალი მაინც დაბალი, არა-სრული არსებაა და ბევრად უკან ჩამორჩენილი მამაკაცზე, ურომლისოდაც ქალს არ შეუძლიან არსებობა, არ შეუძლიან ისე ცხოვრება, რომ მამაკაცისაგან არ იყოს დამოკიდებული. ქალს ყორანი უკრძალავს სამღვთო წერილის კითხვას, სალვთის-მეტყველო წიგნების სწავლას. მარტო თავის ლოცვითა და მსხვერპლის შეწირვით ქალს არ შეუძლიან სამოთხე დაიმსახუროს.

მაჰმადი, როგორც ეტყობა, კარგის აზრისა არა ყოფილა ქალის გონებრივსა და ზნეობრივს ღონეზედ:

თუ განსაცდელი რამ გადგიაო, გვასწავებს ყორანი, და რჩევა გინდა იკითხო, მიდი მოლასთან და იმასა ჰკითხე; თუ მოლა ვერა ნახო, მიდი შენს მოძღვართან; თუ ისიც ვერ იპოვო, მეგობარი მონახე; თუ ვერც ეს შეგხვდა, პირველ მამაკაცს შეეკითხე რჩევასა და თუ იმანაც არა გითხრას-რა, მაშინ მიდი... შენს ცოლთან და იმასა ჰკითხე, მაგრამ ისე-კი არ მოიქცე, როგორც იმან გირჩიოს, არამედ ისე, როგორც არ გირჩია.

ყორანს ბევრი მთარგმნელი ჰყოლია შემდეგში და ამ მთარგმნელთ უფრო მკაცრი შეხედულებანი დაუწესებიათ ქალის შესახებ. ყოველ ამა მიზეზების გამო შემოუღიათ დედაკაცისათვის ის დაწესებულება, რომელშიაც განსაზღვრულია წინადვე და განმარტებული ყოველივე, რაც ქალის ზნეობასა და ცოლ-ქმრობის ცხოვრებას შეეხება და რომელსაც ეწოდება ჰარამხანა.

ჰარამხანაზედაც ბევრი მეტად გაზვიადებული და ტყუილი აზრი ტრიალებს ევროპულს საზოგადოებაშიო, ამბობს ბოლოს ელისეევი. ჩვენ წარმოგვიდგენია, ვითომ ჰარამხანა ერთი რაღაც საოცნებო რამ იყოს, სავსე იდუმალებითა და იმ მიმზიდველის სიტკბოებითა, რომელიც შეჰფერზადის ზღაპრებშია აწერილი. ბევრს ჰგონია, რომ ჰარამხანა ქვეყნიური სამოთხეა, სადაც ბალებია მშვენიერი, შადრევნები სცემს და შავ-თვალა ბანოვანნი და კეკლუცნი მგზნებარე სიყვარულით ატკბობენ კაცსა. ყოველივე ეს ტყუილია და ოცნება იმათი, ვისაც თავის დღეში ჰარამხანა არ უნახავთ.

ნამდვილად ჰარამხანა მოსლემინის სახლის ნახევარია, რომელშიაც რამდენისამე ცოლის გარდა სცხოვრობს მისი დედა, ქალიშვილები, დები და მოსამსახურე ქალნიო. ამ ქალების ცხოვრება ჰარამხანაში სრულიად ჩვეულებრივია და პროზული და არავითარი საიმისო პოეტური სურათები იქ არ მოიპოვებაო.

წვრილი ამბები

— ჩიკაგოში სცდიან თურმე ეხლა ქუჩების ფოლადით დაგებას. ფოლადის ბოძებს აწყობენ მიწაზე და ზემოდგან რაღაცას ასხავენ, რომელიც ქვავდება.

— გერმანიის გაზეთები აგვიწერენ ახალს საწერს მაშინას, რომელიც ახლახ გამოუგონია ჰამბურგში. ეს მაშინა წუთში 40—50 სიტყვასა სწერს, ისე გარკვევით, რომ ნაბეჭდსა ჰგავს. ვინც მაშინით წერას კარგად მიეჩვევა, შეუძლიან ორის მწერლის საქმე გააკეთოს და ამასთან ქაღალდიც ერთი-ორად ნაკლები ახმაროს. დედანთან ერთად ერთსა და იმავე დროს შეიძლება 6 ან 8 პირი აიღოს დედნისა ამ მაშინის საშუალებით. ამ მაშინის ფასი 360 მანათია. კალმის წერასთან შედარებით ეს მაშინა იგივეა, რაც ნემსით კერვასთან შედარებით მკერავი მაშინა.

— აი რამდენად არის თურმე ანარხისტთა გაზეთები ევროპაში გავრცელებული. „Rebell“-ი 1882 წ. თებერვლიდგან 1886 წ. ოქტომბრამდე მხოლოდ 17 №-რი გამოსულა. ეხლა ყველაზედ უფრო განთქმული ანარხისტთა გაზეთი—„Autonomie“ 1.200 ეგზემპლიარი იბეჭდება. ამ რიცხვში 500 ინგლისშივე ვრცელდება, 300 მიდის ვენასა და პეშტში და 80-მდე გერმანიაში. დანარჩენი ზოგი ამერიკაში მიდის, ზოგი შვეიცარიასა, ბელგიასა, ჰოლანდიასა და საფრანგეთში. „Freiheit“-ი და „Parole“ უფრო ნაკლებად არის თურმე გავრცელებული,—პირველი ავსტრიასა და გერმანიაში მიდის 200 ეგზემპლიარამდე და მეორე არა უმეტეს 10-სა.

— გაზეთ „Paris“-ს გამოუანგარიშნია, რომ გრევის თავის ჯამაგირიდგან ყოველ წლივ 400,000 მანათამდე რჩება ნაღდი ფული, საჭმელ-სასმლის გარდა, რადგან გრევის დანარჩენი ხარჯი საერო სასახლეთა ბიუჯეტზეა მიწერილი და ეს ხარჯი თითქმის 240,000 მან. იქმნებაო.

— ნებარსკში (ამერიკაშია) უმაღლესის სასამართლოს მოსამართლის კანდიდატად ქალი დაუნიშნავთ.

— პარიჟში გარდაიცვალა ამ დღეებში საფრანგეთის ყველაზედ მხიარული კაცი, უფროსი რედაქტორი სასაცილო ჟურნალის „Journal Amusant“-ისა, ლესრფი. ამ მართლაც რომ მხიარულის და შავ-მასხარის კაცის სიკვდილის გამო პარიჟში ამბობენ თურმე: ლესრფი იმიტომ მოკვდა, რომ ეხლა საფრანგეთში მეტად მწუხარე დრო დადგა და მეტი ღონე არ არის, მხიარულის ხასიათის კაცნი იმ უფრო მხიარულს ქვეყანას უნდა გარდასახლდნენო.

— ლეიპციგში დაუბეჭდიათ განსაკუთრებული მონოგრაფია... ცხვირზედ. ამ მონოგრაფიაში აწერილია, თუ რა მნიშვნელობა და გავლენა აქვს ცხვირს ადამიანის ხასიათზე, რა ადგილი უჭირავს ცხვირს პოლიტიკაში, კრებაა შიგ მოთავსებული ყველა მხრის და ყველა ერთა ლექსებისა ცხვირზედ, მთელის ქვეყნის ყველაზედ მშვენიერი ცხვირების აწერილობა, დასასრულ, ისტორიული ანდაზები

და ანეკდოტები დაბეჭდილი განთქმულ კაცებისა ცხვირის შესახებ.

— წარსულს 28 ოქტომბერს ირლანდიაში დიდი მიწის-ძვრა ყოფილა. პირველად დედამიწას გრგვინვა დაუწყვია დილის $5\frac{1}{2}$ საათზედ, შემდეგ დედამიწა ძრულა და დილის 6 საათზე შემდგარა. სახლებში ყოველი ნივთეულობა და ავეჯეულობა დაუმტვრევია მიწის რყევას და თვით სახლებიც ალაგ-ალაგ დაშავებულა.

— ლისაბონში სამეფო ბრალ-მდებელს დაუნიშნავს გამოძიება ნავთ-სადგურის აშენების დროს ქრთამის აღების საქმის შესახებ. იმ ქალაქში ხმა დადის თურმე, რომ ბევრ წარჩინებულ და ხარისხოვან კაცთა აიღეს ქრთამები ამ ნავთ-სადგურის აშენების იჯარით გაცემის დროსაო.

— ირლანდიის მამულთ-მეპატრონეს, პოლკოვნიკს დოპინგს, საჩივარი შეუტანია გლადსტონზე, რომ გლადსტონმა ერთს უკანასკნელ თავის სიტყვათაგანში ცუდის სიტყვებით მომიხსენიაო.

— ახირებული სანაძლეო. ამერიკელი მსროლელი კარვერი დანაძლევებულა 8,000 მანათზედ, რომ 15 წუთის განმავლობაში 1,000 ჯერ დავცლი ყარაბინას თოფსაო. მართლაც, 14 წუთის განმავლობაში 1017 ჯერ უსროლია თოფი და სანაძლეო მოუგია. კარვერს ხელში თორმეტ ლულიანი მაგაზინის ყაიდის ყარაბინის თოფი ეჭირა თურმე და ისე ისროდა. ამასთან რვა ხელ-ქვევითი ჰყავანდა, რომელნიც თოფებს უვსებდნენ. ხუთასჯერ რომ გაისროლა, თოფები ისე გაცხელდა თურმე, რომ ავსების დროს ზემოდგან ცივ წყალს ასხამდნენ.

— ინგლისის საზოგადოება ეხლა იმით არის თურმე გაოცებული, რომ ქალი ისე მშვენივრად როგორ ისვრის, როგორც ამერიკელი ანნა ოკლეი შვრებაო. ეს ახირებული მანდილოსანი მშვენივრად ისვრის თურმე თოფსაცა და დამბაჩასაც. პრინც უელსმა ამ ქალისათვის ოქროს დიდი მედალი უბოძებია. ჯერ არ გაგონილა, რომ კაცს-მსროლელს ვისმე მიეღოს ამისთანა ჯილდო. ეს გულ-მშვიდი და გულ-დინჯი ამერიკელი ქალი მართლაც მშვენივრად ისვრის თურმე. მაგალითებრ, თავის ქმრის თავზე დადგმულ შუშის ბურთს რამდენჯერაც იყოს ისე ესვრის თურმე, რომ ერთხელ არ ააცდენსო.

— გაზეთი «Hrvatska» ამბობს, რომ დღეს, 5-ს (17-ს) ნოემბერს, ზაგრების ქუჩებზედ დიდ-ძალი ხალხი იყო შეკრებული და ცას შესცქეროდნენო. თუმცა მზიანი დღე იყო, ცაზედ ოთხი ვარსკვლავი მოჩანდაო. ხალხს უკვირდა ეს მოვლენა და ათას რასმეს ლაპარაკობდნენო. მოხუცე დედაკაცებს უთქვამთ, რომ ეს ოთხი ვარსკვლავი დიდის ომის ატეხასა ჰნიშნავსო.

— ამას წინად ბალტიის ზღვის ნაპირებზე სამხრეთის ძლიერს ქარს ნაპირებიდგან წყალი გადაუგდია და ზოგიერთ მკვიდრთ უნახავთ ნაქცევები ქალაქის რეგამიუნდასი, რომელიც მეთოთხმეტე საუკუნეში წყალმა ჩაიტანა. ხოლო რამდენისამე წუთით მოუკრავთ ამ ნაქცევებისათვის თვალი, მეორე დღეს ისევ ტალღებს გაჰქონდათ ღელვა იმ ალაგას თურმე, საცა ნაქალაქარი ადგილი დაენახათ.

— ამას წინად საფრანგეთის ორი პოლიტიკოსი დგანან თურმე და იმაზედ აქვთ სჯა და ბაასი, თუ ვინ უფრო უნდა ამოვირჩიოთ გრევის მოადგილედაო. უხსენებიათ ბრისონი, ლა-ფერიე, ფლოკე და ბოლოს ჯერი ფრეისინეზე მიმდგარა: „ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ფრეისინე არ ამოვირჩიოთო“,— უთქვამს ერთსა.—ფრეისინესაც ქალიშვილი ჰყავსო.

დეპეშა

24 ნოემბერი

პეტერბურგი. სადი-კარნოს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევის თაობაზე გაზეთი „Journal de St.-Pétersbourg“-ი ულოცავს საფრანგეთს, რომ არჩეულ იქმნა ზომიერი სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღია დასთა გაცხარებულს ბრძოლაში; გაზეთი აგრეთვე იმასაც ულოცავს, რომ კონგრესმა საჩქაროდ მოსპო კრიზისი, რომელიც ძირს უთხრიდა ქვეყნის უდიდესს ინტერესებსა. გაზეთი ამბობს: „სასურველია, რომ საფრანგეთში მალე დამყარდეს მშვიდობიანობა და დიდის ხნით მაინც არ მოხდეს არავითარი მღელვარება, რომელიც ძალას აძლევს მავნე მიმართულებას და განზრახვასა, თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ის უწესობა, რომელსაც სჩადიან ზოგიერთი გაზეთები საფრანგეთში, საფრანგეთის შინაური საქმეა. მაგრამ როცა ისინი ლაპარაკს ჩამოაგდებენ რომელსამე უცხო მართებლობაზე, მაშინ ამ გვარი თავ-გასულობა შესაწყნარებელი არ არის. ზოგიერთ სახალხო ორატორებმა და გაზეთმა „Agence Libre“-მა განიზრახეს რუსეთის სახელით სარგებლობა საკუთარის აზრების გასავრცელებლად; ზოგნი იმეორებდნენ პარიჟში მცხოვრებ რუსების ნალაპარაკევს, რომლებმაც ვითომ უკეთ იციან რუსეთის განზრახვანი, ვიდრე იმის ოფიციალურ წარმომადგენელმა; ზოგნი ზოგს კანდიდატებს უპირატესობას აძლევდნენ, ვითომ იმისდა მიხედვით, თუ რა ცნობა მიუღიათ რუსეთიდგან. ჩვენ ძლიერა ვკიცხავთ ამ გვარს საქციელს და ვაფრთხილებთ საფრანგეთის საზოგადოებას, ნუ დაიჯერებს იმ ცრუ ხმებს, რომელსაც რუსეთის შესახებ ავრცელებენ. რუსეთი გულ-მტკივნეულობით ადევნებს თვალ-ყურს საფრანგეთის გაჭირებას, და მხოლოდ ისა სურს, რომ საფრანგეთმა მშვიდობიანად თავი დააღწიოს ყოველ გვარ გაჭირებას საკუთარის მშვიდობიანობისა და წესიერების განსამტკიცებლად. რუსეთის ერი არასოდეს არ დასთმობს, რომ ვინმე ჩაერიოს იმის შინაურ საქმეებში და ამიტომ თვითონაც არ ჩაერევა საფრანგეთის შინაურს არეულობაში. რუსეთის ერი უარ-ჰყოფს ყოველსავე განწყობილებას ქუჩის ციცერონებთან, რომლებიც მხოლოდ საკუთარის სარგებლობისათვის მოქმედებენ და სამშობლო ქვეყნის საჭიროებას ჰგმობენ“. შემდეგ გაზეთი ამბობს, რომ გრევის გადაყენება კანონის წინააღმდეგი იყო, მაგრამ რადგანაც ყოველივე მშვიდობიანად დასრულდა, სასურველია, რომ საფრანგეთმა პატივი სცეს ახალს პრეზიდენტს და ერის წარმომადგენლებმა შემწეობა აღმოუჩინონ სახელმწიფოს გაძღოლასა და მშვიდობის დამყარებაშიო.

იმ ხმის გამო, ვითომ შემოღებულ უნდა იქმნას აქციზი სტეარინის სანთელზე, ფინანსთა სამინისტრო აცხადებს, რომ ამ გვარის ბაჟის დადგენა განზრახული არ არისო.

სენატი განიხილავს იმასა, თუ რა რიგად უნდა შეიცვალოს მე-248-ე მუხლი მესამე ტომისა, შესახებ სამოქალაქო სამსახურის წესდებისა. დღემდის ამ მუხლის ძალით მასწავლებლებს, რომლებიც ადგილებზე ინიშნებიან, ეძლევათ ხაზინიდგან ჯამაგირის გარდა მესამედი წლიურის ჯამაგირისა.

ფინანსთა სამინისტრო აცხადებს, რომ მინისტრთა კომიტეტმა დაადგინა შემდეგი: 1) იმ უცხოელ სააქციონერო საზოგადოებათა, რომლებიც რუსეთში მოქმედობენ უმაღლესის მთავრობის ნება-დაურთველად, აიღონ სავაჭრო დოკუმენტები 1888-ს წლისათვის; 2) იმ საზოგადოებათა, რომლებსაც ნებართვა არ უთხოვნიათ თავიანთ საქმეების საწარმოებლად, უნდა გამოეცხადოთ, რომ 1888 წლის პირველს მაისამდე ითხოვონ ნება-რთვა. იმ საზოგადოებათ-კი, რომლებიც დროზე არ ითხოვენ ნება-რთვას, უნდა შეაჩერონ და მოსპონ თავიანთი საქმეები 1889-ს წლის დამდეგს.

პეტერბურგის ბირჟა, 24-ს ნოემბერს.

ფასები:

	მყიდვე-ლისა	გამყიდ-ველისა	გაყიდუ-ლისა
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	— ›	— ›	9
ტამოჟნის კუპონები	— ›	— ›	$179\frac{3}{4}$
მანათიანი ვერცხლის ფული	— ›	— ›	1 32
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ›	— ›	278
— მეორისა	— ›	— ›	248
გირავნობ. ფურცელნი:			
ტფილისის ბანკისა	— ›	— ›	— ›
ქუთაისის ბანკისა	— ›	— ›	— ›
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— ›	— ›	— ›

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ(1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

ნოემბერი 30 დღით არის

26 დღე ხუთშაბათი. წმ. ავლიპი მესვეტისა. კათოლ. წმ. ეპის. ალმსაარ. გრიგოლ საკვირველ-მოქმედისა. სომეხ. წმ. კლიენტისა და ბაგრატ ეპისკოპოსისა. მუსულ. მე-24 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—52. ტფილისში მზე ამოდის 7—14, ჩადის 4—30. მთვარე 24 დღისაა.

27 დღე პარასკევი. მოწ. იაკობ სპარსელისა. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მე-25 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—52. ტფილისში მზე ამოდის 7—15, ჩადის 4—30. მთვარე 25 დღისაა.

28 დღე შაბათი. წმ. მოწ. სტეფანესი, ვასილისა და სხვათა. კათოლ. სალამოს ღვთის-მსახურება წმ. ანდრია მოციქულისა. სომეხ. წმ. მოციქულ და პირველ განმანათლებელ სომეხთა თადეოსისა და ბართოლომესი. მუსულ. მე-26 რიცხვი თვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—53. ტფილისში მზე ამოდის 7—16, ჩადის 4—30. მთვარე 26 დღისაა.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5	კაპ.
პური 1-ის ხარისხისა	3	›
› 2 ›	$2\frac{1}{2}$	›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5	›
› › 2—	$3\frac{1}{2}$	›
› › 3 ›	3	
ჯვარის მამის პურის ლავაში		
1-ლის ხარისხისა	5	›
მე-2 ხარისხისა	4	›
მე-3 —	›	›
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7	›
› 2 ›	6	›
სუკი	13	›
ძროხის ხორცი	7	›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა.	7	›
› 2 ›	6	›

კერძო განცხადებანი

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარია და წიგნთ-საცავი ღიაა ყოველ-დღე 11—2 საათამდე შუა-დღის უკან; ხოლო კვირა-უქმეობით 12—1 საათამდე.

КАКАО БЕЗЪ МАСЛА
С. СIУ и Ко
(50—1)

საუნჯე ქართულის ენისა.
ახალი ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა იყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში, I ნაწილის ფასი 3 მან.

(წიგნი განიყოფება სამ ნაწილად. ჯერ დაბეჭდილია მხოლოდ პირველი ნაწილი, რომელიც ასო „ლ“-ზეა შეწყვეტილი. დანარჩენიც იბეჭდება. ახალი ლექსიკონი ბ-ნ ჩუბინაშვილისა ბევრით განირჩევა იმისავე „ქართულ-რუსულის ლექსიკონისაგან“. ახალ ლექსიკონში უფრო მეტი სიტყვებია მოქცეული, სიტყვები ქართულადვე არის ახსნილი, ნაჩვენებია აგრეთვე, რომელს მწერალს, ძველს თუ ახალს, აქვს ნახმარი ეს სიტყვა, რომელს თხზულებაში, რომელ გვერდზე და ზოგან მთელი ფრაზაც არის მოყვანილი, სადაც სიტყვა ხმარებულია. შემდეგ სიტყვა რუსულად არის ნათარგმნი.)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1888 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

12 თვით	10 მ.—კ.	6 თვით	6 მ.—კ.
11 „	9 „ 50 ›	5 „	5 „ 25 ›
10 „	8 „ 75 ›	4 „	4 „ 75 ›
9 „	8 „ — ›	3 „	3 „ 50 ›
8 „	7 „ 25 ›	2 „	2 „ 75 ›
7 „	6 „ 50 ›	1 „	1 „ 50 ›

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი —60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმას კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალ იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.

МАГАЗИНЪ
ТОРГОВАГО ДОМА
НИКОЛАЯ РОЖНОВА СЫНОВЬЯ
ВЪ МОСКВѢ
Никольская, Богоявленскій переулокъ.
ФИРМА СУЩЕСТВУЕТЪ СЪ 1820 ГОДА.

Имѣетъ въ большомъ выборѣ и лучшаго достоинства: Ленты, кружева, шелкъ, перчатки, мужскія сорочки, разную шерсть, льняную нитку, бумагу чулочную, швейную и на катушкахъ и разные игольные, галантерейные и крестьянскіе товары.

Каталоги магазина высылаются по требованію безплатно.

(10—5)

Дов. цен. Тиф. 25 ноября, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.